ამონარიდი თბილისის საოჯახო
პერსონალის საკადრო ცენტრ ,,ბაია“-ს
უსაფრთხოების კონცეფციიდან

თბილისი 04.12. 2013 წ

პერსონალის შემოწმება

აბსოლუტურად ბუნებრივია, რომ ყველა დამსაქმებელი მუდმივად ფიქრობს იმაზე, როგორ იგრძნოს თავი უსაფრთხოდ პერსონალის აყვანისას, რადგან ზრდასრული, სავსებით უცხო ადამიანის ოჯახში შემოშვება არცთუ ისე იოლი და მარტივი გადასაწყვეტია... ამიტომ, დაქირავებისას პერსონალის შემოწმება დიდი ხანია ჩვეულებრივი მოვლენა გახდა.

<u>თქვენ შეგიძლიათ მოითხოვოთ პერსონალის გადამოწმება დაქირავების დროს შემდეგ მიმართულებით:</u>

- კანდიდატის რეზიუმეში მითითებული ინფორმაციის ნამდვილობა/სანდოობა;

- წარმოდგენილი დოკუმენტების ავთენტურობა;

- განმცხადებლის ბიოგრაფიის შემოწმება ისეთი შესაძლო ფაქტების გამორიცხვის მიზნით, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს მის მოცემულ პოზიციაზე მუშაობას;

- რეკომენდაციები წინა სამუშაოებიდან;

- ნასამართლობის, ადამინისტრაციული ჯარიმის ან სხვა ისეთი სამართალდარღვევის ჩადენის არსებობა, რაც შესაძლებელია ასევე გახდეს ხელისშემშლელი პირის მოცემულ პოზიციაზე სამუშაოდ;

- საკრედიტო ისტორია;

- თითოეული კანდიდატის საფუძვლიანი შემოწმებით დამსაქმებელი უზრუნველყოფს თანამშრომელთა პროფესიული გუნდის ხელმისაწვდომობას, რაც ბუნებრივია ამცირებს შესაძლო დანაშაულის ჩადენისა ან როგორც მინიმუმ არასასურველი კანდიდატების ოჯახებში მოხვედრის რისკებს.

- ზ/აღნიშნულით კი მაქსიმალურად მცირდება დამქირავებლის მხრიდან ის დანაკარგები, რომლებიც დაკავშირებულია პერსონალის არაკომპეტენტურობასთან და არაკეთილსინდისიერებასთან.

პირობითად შესაძლებელია განვასხვავოთ პერსონალის შემოწმების სამი ხარისხი:

ზედაპირული შემოწმება

ზედაპირული შემოწმება იწარმოება სააგენტოში ისეთი კანდიდატის რეგისტრაციისას, რომელიც არ არის დაკავშირებული ოჯახებში მუშაობასთან და ასევე ფინანსურ პასუხისმგებლობასთან. ამ შემთხვევაში სააგენტო შემოიფარგლება ხოლმე განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი მონაცემებისა და დოკუმენტების სიზუსტის გადამოწმებით, აგრეთვე დასაქმების საერთოდ აცილების ფაქტების არსებობის გამომრიცხველი გარემოებების დადგენით.

გადამოწმების საშუალო დონე

ამ ტიპის შემოწმებისას სააგენტოს უსაფრთხოების თანამშრომელი მონაწილეობს გასაუბრებაში და უკვე წლების განმავლობაში აპრობირებული და კარგად ნაცადი სპეციალური მეთოდების გამოყენებით შეუძლია განსაზღვროს, როდის იტყუება განმცხადებელი ან მალავს ფაქტებს. წარმოდგენილი მონაცემებისა და დოკუმენტაციის გადამოწმების, აგრეთვე ქცევის მოდელის საფუძველზე მიიღება გადაწყვეტილება მისი დასაქმების შესაძლებლობის შესახებ.

სიღრმისეული გადამოწმება

არსებობს ისეთი განსაკუთრებული გარემოებები, რა დროსაც რეკომენდებულია განმცხადებლის სიღრმისეული შემოწმება. კანდიდატის რეგისტრაციისას პერსონალის სკრინინგის ღრმა დონე მოიცავს ზედაპირულ და საშუალო სკრინინგში გამოყენებულ ყველა მექანიზმს. გარდა ამისა, ტარდება განმცხადებლის გარემოს ანალიზი, მაგალითად, მეზობლების ან რაიონის პოლიციის თანამშრომლებთან გასაუბრება, როგორც კანდიდატის ასევე მისი ოჯახის წევრების კრიმინალურ წარსულთან შესაძლო შემხებლობის გამორიცხვის მიზნით. მიღებული მონაცემების საფუძველზე დგება განმცხადებლის ფსიქოლოგიური პორტრეტი და მიიღება გადაწყვეტილება მისი სამსახურში უკვე აყვანის თაობაზე.

შავი სია

ჩვენს ბაზაში მყოფი ყველა განმცხადებელი რეგისტრაციის მომენტშივე მოწმდება შიდა შავი სიის მიხედვით, რომელსაც ჩვენ ვაგროვებთ 2012 წლიდან მოყოლებული, როგორც დამსაქმებლებისა და სააგენტოების გამოხმაურებებიდან, საჩივრებიდან ასევე სოციალური მედიის მონაცემების და იქ არსებული კავშირების შესწავლით.

კანდიდატების მიერ წარმოსადგენ დოკუმენტთა ნუსხა

1. ცნობა ნასამართლეობის შესახებ
2. ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ
3. რეკომენდაცია წინა სამუშაო ადგილიდან

პატივისცემით: თბილისის საოჯახო პერსონალის